პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 124 (3101) 29 ივნისი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

## ქულები, გოლები, [illegible]

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტური მოიცავდა 26-28 ივნისის მატჩებს. ტური აშკარად სარეკორდოა. გატანილ იქნა 38 გოლი! ასეთი სიუხვე წლეულს არც ერთ ტურში არ ყოფილა.

დიდი ანგარიშით გამარჯვება ფიქსირებულ იქნა სამ მატჩში: „სპარტაკმა" მოუგო „კრილია სოვეტოვს" (2 გოლი გაიტანა იანიშევსკიმ, თითო — რეინგოლდმა და ამბარცუმიანმა, ხოლო საპასუხო — საველიევმა); როსტოვის არმიელები პასტიკად დამარცხდნენ მოსკოვში, ადგილობრივ „დინამოსთან" (2 ბურთი გაიტანა ავრუცკიმ, თითო — ვასილიევმა და გუნდის ახალგაზრდა წევრმა ევრიუხინმა), ასეთივე ანგარიშით (0:4) წააგო ერევნის „არარატმა" მატჩი საკუთარ მინდორზე ცსკა-სთან. აქ გოლების ავტორები იყვნენ ვარგა, კაზაკოვი, კოჩეგაროვი და გრეშჩაკი.

გამარჯვებათა გზით განაგრძობს სვლას ლიდერი — კიევის „დინამო", თუმცა ამ ტურში მან პირველად მიიღო თავის კარში 2 ბურთი ერთად. „კაირატის" თავდამსხმელებმა კორონჩიხინმა და კუზნეცოვმა ორჯერ აიძულეს კიეველები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში, კიეველთა თავდასხმამ კი კიდევ ერთხელ თქვა თავისი სიტყვა (ხმელნიცკი — 2, ბიბა, ბიშოვეცი).

კვლავ დაუმარცხებლად იბრძვის „პახტაკორი", თუმცა თავის მინდორზე 1 ქულა დაუთმო „ჩერნომორეცს". საინტერესოა, რომ ტაშკენტელთაგან ორივე გოლი გაიტანა რახმატულაევმა, ხოლო ოდესელთაგან — ბაზილევიჩმა.

მერვე დამარცხება განიცადა „შახტიორმა", რომელიც 27 ივნისს თამაშობდა ლენინგრადის „ზენიტთან". მასპინძელთაგან 2-2 ბურთის ავტორები იყვნენ ბურჩალკინი და გუსევი. ხოლო „შახტიორის" მხრივ — ევსეენკო და პილიპჩუკი.

მინსკის „დინამომ" მიიღო ოდესის არმიელთა გუნდი. დინამოელებმა ვასილიევმა და კურილოვმა 2 ბურთი გაიტანეს, არმიელმა ნემიროვსკიმ კი — 1 საპასუხო

ამრიგად სადღეისოდ ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერთა სიას ლიდერობს 3 ფეხბურთელი. გ. მატვეევი (ასკ, როსტოვი), ა. ბიშოვეცი („დინამო", კიევი) და ბ. კაზაკოვი (ცსკა) რომელთა ანგარიშზეა 7-7 ბურთი. 6-6 გოლის ავტორები არიან ა. ბიბა (კიევის „დინამო"), ს. ვარგა (ცსკა), ა. ვასილიევი („ზენიტი"), ვ. ჩხარტიშვილი და გ. ნოდია (ქუთაისის „ტორპედო").

ყველაზე კარგი თავდასხმა ჰყავს კიევის „დინამოს" — 29 გოლი. მერე მოდიან როსტოველები (25) და ცსკა (24). ყველაზე ნაკლები გოლი გაუშვეს კიეველებმა (4) მოსკოვის „სპარტაკმა" (8) და თბილისის „დინამომ" (9).

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 29-ივნისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 12 | 9 | 3 | 0 | 29—4 | 21 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 13 | 8 | 3 | 2 | 19—8 | 19 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 13 | 5 | 8 | 0 | 16—10 | 18 |
| ასკ (როსტოვი) | 13 | 8 | 1 | 4 | 25—23 | 17 |
| „ნეფთჩიანიკი" (ბაქო) | 13 | 5 | 5 | 3 | 20—10 | 15 |
| „დინამო" (თბილისი) | 13 | 5 | 5 | 3 | 16—9 | 15 |
| ცსკა | 13 | 5 | 5 | 3 | 24—18 | 15 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 13 | 5 | 5 | 3 | 21—15 | 15 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 14 | 6 | 2 | 6 | 21—24 | 14 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 14 | 6 | 2 | 6 | 15—18 | 14 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 14 | 6 | 1 | 7 | 18—23 | 13 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 13 | 5 | 2 | 6 | 15—16 | 12 |
| „არარატი" (ერევანი) | 13 | 4 | 4 | 5 | 10—15 | 12 |
| „დინამო" (მინსკი) | 14 | 4 | 4 | 6 | 14—20 | 12 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 13 | 2 | 6 | 5 | 12—16 | 10 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 13 | 4 | 1 | 8 | 13—20 | 9 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 13 | 2 | 4 | 7 | 10—23 | 8 |
| ასკ (ოდესა) | 13 | 1 | 4 | 8 | 5—17 | 6 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 13 | 2 | 1 | 10 | 11—25 | 5 |

# მინდორზეა ორი „ტორპედო"

მოსკოვი. ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონი. 28 ივნისი.

„ტორპედო" (მოსკოვი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 2:2 (1:0).

მოსკოვი: შაპოვალენკო, ანდრეიუკი, შუსტიკოვი, სარაევი, ლენიოვი, მარუშკო, მიხაილოვი (შალიმოვი), სტრელცოვი, შჩერბაკოვი, ბრედნევი, სერგეევი.

ქუთაისი: კვასხვაძე, ლოსაბერიძე, წვერავა, ებრალიძე, ძოძუაშვილი, კუტივაძე. ზარია, ვეკუა (ჭითანავა), ჩხარტიშვილი, ხაჟალია, გ. ნოდია.

მსაჯი ა. ზვერევი (ლენინგრადი).

მოსკოველი გულშემატკივრები ქუთაისის „ტორპედოს" აღარ უყურებენ როგორც აუტსაიდერს, რომელიც გაჭირვებით ებღაუჭება ბოლოსწინა ადგილს. მათ კარგად იცოდნენ, რომ ქუთაისელებმა ბოლო ოთხ ტურში შინ და გარეთ 8 შესაძლებლიდან 7 ქულა აიღეს (!); მათ ახსოვთ ისიც, რომ მოსკოვის „ტორპედო" შარშან სწორედ ქუთაისელ თანაკლუბელთა „წყალობით" გახდა ჩემპიონი. გარდა ამისა, ამ ორი გუნდის შეხვედრებში საკავშირო პირველობაზე სრული თანაფარდობა იყო: 3-3 მოგება, 2 ფრე.

ბრძოლას პირველ ტაიმში დაახლოებით თანაბარი ხასიათი ჰქონდა და სახიფათო მომენტები ორივე კართან იქმნებოდა. დასაწყისში კარგი შესაძლებლობანი ვერ გამოიყენეს სტრელცოვმა და შჩერბაკოვმა, 25-ე წუთზე კი ხაჟალია პირისპირ გავიდა შაპოვალენკოსთან და... „ხელცარიელი" დაბრუნდა ცენტრისკენ.

ასეთი მომენტები საკმაოდ იყო, მაგრამ ტაიმი თითქოს უშედეგოდ უნდა დამთავრებულიყო, ვინაიდან შესვენებამდე რჩებოდა სულ რაღაც 15-20 წამი. აი, ამ მცირე დროში სტრელცოვმა შეუჩერებლივ დაარტყა კარში და გახსნა ანგარიში — 1:0.

საპასუხო გოლი სულ მალე იქნა გატანილი. 50-ე წუთზე ნოდიამ საჯარიმო მოედნის ცენტრში ჩააწოდა საჯარიმო და ხაჟალიამ თავით გაგზავნა ბურთი მასპინძელთა კარის ბადეში — 1:1.

54-ე წუთზე მოსკოველები ისევ დაწინაურდნენ. გოლის ავტორი კვლავ სტრელცოვი გახდა, რომელმაც კარგად გამოიყენა შჩერბაკოვის ზუსტი გადაცემა — 2:1. ამ მძიმე სიტუაციაში სტუმრები არ დაიბნენ. მათი შეტევა შეტევას მოსდევდა და ერთ-ერთი მათგანი დამთავრდა მეორე საპასუხო გოლით: ვეკუამ სარაევთან ბრძოლაში ძნელი მდგომარეობიდან მიაწოდა ბურთი ნოდიას. ამ უკანასკნელის თავური დარტყმა მოხვდა ძელს, მერე შაპოვალენკოს და ანგარიში გათანაბრდა. დარჩენილ დროში ორივე გუნდი აქტიურად თამაშობდა, როგორც შაპოვალენკოს, ისე კვასხვაძეს მოუხდათ თითო ძალზე ძნელი ბურთის აღება და საბოლოოდ მეტოქეებმა „მშვიდობიანად" გაიყვეს ქულები.

ვ. პავლოვი.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## საათის!

◆ მალმე, 28 ივნისი. აქ გაიმართა შვეციისა და იუგოსლავიის ფეხბურთელთა მატჩი „უმაღლეს დონეზე". წვიმაში, წყლიან მინდორზე შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

მასპინძელთაგან გოლის ავტორია ნაკრების დებიუტანტი ნილდენი, რომელმაც 20 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით გაიტანა ბურთი.

62-ე წუთზე იუგოსლაველთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა სანტრაჩმა გაქვითა ანგარიში.

◆ ვარშავა, 28 ივნისი. კოშკურიდან წყალში ხტომაში ევროპის თასის ბრინჯაოს მედალოსანმა, ავსტრიელმა სპორტსმენმა ქალმა ი. პერტმაიერმა გაიმარჯვა ვარშავის მოცურავეთა კავშირის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო შეჯიბრებაში. მან მოაგროვა 280,50 ქულა. აი, ტრამპლინზე კი ავსტრიელი და მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი ბ. მარცინკოვსკა-პეტკევიჩი (პოლონეთი) „შეავიწროვა" როსტოკელმა (გდრ) მოსწავლე გოგონამ, 15 წლის კ. კელერმა — 374,35 ქულა. ვაჟებში იმარჯვეს პოლონელებმა: ტრამპლინიდან ხტომაში ე. კოვალსკიმ (437,75), ხოლო კოშკურიდან — ტ. ბუდეკმა (410,70).

**1 : 1**

**მოსწავლე გოგონას წარმატება**

სურათზე: თბილისის „დინამოს" მარჯვენა ... ი. დათუნაშვილის [illegible] „ლოკომოტივთან" [illegible]

ფოტო ვ. ზარგარიანისა.



# კრივი
## სასარგებლო და საჭიროა

სამოყვარულო კრივი საჭირო და სასარგებლოა — ასეთია ძირითადად აზრი იმ ექიმების, პედაგოგების, სოციოლოგებისა და საზოგადო მოღვაწეებისა, რომლებიც მონაწილეობდნენ ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყნის კომისიაში სამოყვარულო კრივის ყოფნა-არყოფნის დასადგენად.

მოწინააღმდეგენი ირწმუნებიან, კრივი არის სპორტის ერთადერთი სახეობა, სადაც მეტოქენი „კანონიერად", გამეტებით ურტყამენ ერთმანეთს, რაც ცივილიზებულ საზოგადოებაში დაუშვებელიაო. აღიარებენ იმასაც, რომ დაცვის სხვადასხვა ხერხის გამოყენებით და შეჯიბრების წესების დადგენით შეიძლება როგორც თავის, ისე სხეულის უვნებელყოფა და მაინც ისინი პროფესიულ მოკრივეთა მაგალითზე ამტკიცებენ, რომ მძიმე და მრავალრიცხოვანი დარტყმა თავში საზიანოა ორგანიზმისთვის. შეიძლება მართლაც ასე იყოს პროფესიულ კრივში, სადაც მოკრივენი 15-რაუნდიანი გაფთრებული ბრძოლების დროს დიდი საფასურის გულისთვის საშინელ დარტყმებს უძლებენ. მაგრამ ეს სრულიად არ ეხება სამოყვარულო კრივს, სადაც შეხვედრა სამ რაუნდს გრძელდება და რინგზე ორთაბრძოლა იმართება ჰუმანისტური ტენდენციების გამარჯვებისთვის, ბრძოლის ძალისმიერი, უხეში მანერის წინააღმდეგ შესანიშნავი, ლამაზი, ე. წ. ტექნიკური სტილის გამარჯვებისთვის.

სამოყვარულო კრივის დამცველები ეყრდნობიან მრავალრიცხოვან მეცნიერულ გამოკვლევას, სტატისტიკურ მონაცემებს და ამტკიცებენ, რომ კრივი სპორტსმენებს ჯანმრთელობას უნარჩუნებს. იგი თითქმის ხელოვნებაა; უვითარებს ადამიანს საუკეთესო თვისებებს — გულადობას, სიმშვიდეს, ამტანობას, გამბედაობას, სიმარდეს, წვრთნის გონებასა და კუნთებს, ზრდის (როგორც სპორტის არც ერთი სახეობა) დისციპლინას და თვითკონტროლს, ხოლო ყოველივე ეს ხელს უწყობს ხულიგნობისა და დაუკვირვებელი მოქმედების, ამისა და თამბაქოს წევის მავნე ჩვევების წინააღმდეგ ბრძოლას.

ამ სახეობაში შეჯიბრების წესები წლითიწლობით იცვლება იმ მიზნით, რომ კრივი უფრო ლამაზი, ტექნიკური გახდეს და დაისვეწოს, რომ შეჯიბრების დროს არ ჰქონდეს ადგილი უხეშობას, რომ საბოლოოდ აღმოიფხვრას შეცდომები სწავლებისა და წვრთნის მეთოდიკაში.

ახალი წესები კრივს აქცევს სხვადასხვა ასაკის ადამიანებისთვის ხელმისაწვდომად, ახალგაზრდობის ფიზიკური განვითარებისა და აღზრდის კარგ საშუალებად. სსრ კავშირში კრივის პოპულარობა თანდათან იზრდება. ამას ისიც ადასტურებს, რომ ეს სახეობა შეტანილია 1967 წლის მოსწავლეთა საიუბილეო საკავშირო სპარტაკიადის პროგრამაში.

ჩვენს რესპუბლიკაში კრივის ჩამორჩენის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ნაკლები მასობრიობა მიგვაჩნია, თუმცა ჩვენში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდაა, კრივის ოსტატობის დაუფლებას და საკავშირო სარბიელზე წარმატებით გამოსვლას რომ შეძლებდა.

**გ. კვინიხიძე,**
საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სპორტის ოსტატი.

**გ. ვართანოვი,**
საქართველოს კრივის ფედერაციის მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარე, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

**ა. ცაგარელი,**
საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი, გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ა. ცანავა,**
საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.



გასულ კვირას თბილისის ზღვაზე გაიმართა საბაიდარო ნიჩბოსნობასა და კანოეში მოლდავეთისა და საქართველოს გუნდების მატჩი.

სურათზე: 1000 მეტრზე ორმოსამელიანი კანოეთი ასპარეზობაში გამარჯვებული მცხეთელი ჭაბუკები თ. წოწლოკაური და ს. არეშოვი.

ფოტო თ. გაჩეჩილაძისა.



სურათზე: საქართველოს უძლიერესი სპრინტერი, თბილისელი ვარდო ქუთათელაძე.
ფოტო ბ. ქვათაძისა.

# ბილიკებზე—ნორჩი დინამოელები

— 3 კილომეტრზე რბენის მონაწილენო! ასე დაბალი ტემპით გუნდს ჩასათვლელ ქულებს ვერ მისცემთ, — გამოაცხადა დიქტორმა „დინამოს" ნორჩ მძლეოსანთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე, თბილისში.

მაგრამ საქმეს არც ამ გაფრთხილებამ უშველა. მხოლოდ ბოლო წრეზე, ფინიშამდე 250 მეტრი რომ დარჩა, ასპარეზობის მონაწილეებმა მოულოდნელად განავითარეს სპრინტერული სისწრაფე. გაიმარჯვა აფხაზეთის წარმომადგენელმა ვ. მაირომიანმა — 9.47,7.

დიდად ვერც გოგონებმა გამოიჩინეს თავი. 13,5 წამი—ასეთი იყო 100 მეტრზე რბენის ორი ფინალისტის შედეგი. ნ. მაიოროვასა (აჭარა) და ლ. ეგოროვას (თბილისი) შორის გამარჯვება პირველს მიეკუთვნა, ვინაიდან იგი მკერდით წინ იყო. 4×100 მეტრზე ესტაფეტაში ყველა ჩამოიტოვეს აჭარელმა გოგონებმა— 53,1.

მაგრამ ამ ასპარეზობამ გაგვახარა კიდეც. ხუთჭიდელმა ს. პონომარიოვამ (აჭარა) 3774 ქულა დააგროვა (80 მ თარჯრბენი—12,5, ბირთვი—9,82 მ, სიმაღლეზე ხტომა — 142 სმ, სიგრძეზე ხტომა — 500 სმ, 200 მ რბენა — 27,1) და მხოლოდ 26 ქულა არ ეყო I თანრიგის ნორმის შესასრულებლად.

185 სანტიმეტრზე გადახტა თბილისელი პ. კრასნოვი. უნდა აღინიშნოს, რომ ნიჭიერი სპორტსმენი შარშან მხოლოდ 170 სმ-ზე ხტებოდა, წლეულს კი უკვე მეოთხედ აიღო 185 სმ. გვჯერა, კრასნოვი წლეულსავე შეასრულებს I თანრიგის ნორმას — 190 სმ-ს.

ორმა ჭოკით მხტომელმა დაძლია 370 სმ, მაგრამ ცდების მიხედვით გამარჯვება ს. კაზარიანს (აჭარა) მიეკუთვნა. თბილისელი ვ. ზუბკო II ადგილზე დარჩა.

110 მეტრზე თარჯრბენში ყველას აჯობა ჯ. დათუნაშვილმა (აჭარა) — 15,4. თბილისელი ვ. გოლეთიანი პირველი იყო 100 და 200 მეტრზე რბენაში (11,4 და 23,7). მისმა თანაგუნდელმა დ. კორინევიჩმა მოიგო 400 (53,5) და 800 მეტრზე რბენა (2.04,2).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ს. პერვიშევა (აფხაზეთი), რომელმაც ამ შეჯიბრებაში 3 დისტანცია მოიგო: 200 მ — 27,3 (წინასწარ გარბენში — 27,0), 400 მ — 1.00,8 და 800 მ — 2.35,4.

სამი გამარჯვება მოიპოვეს ცხინვალელმა სპორტსმენებმაც, რომლებიც პირად ჩათვლაში გამოდიოდნენ: ზ. ჯიოევი — ბადრო — 43,18 მ და ბირთვი — 13,45 მ, რ. ხარებოვი — 5 კმ-ზე სპორტული სიარული — 27.24,4.

აი, სხვა გამარჯვებულნი: გოგონები — 80 მ თარჯრბენი — ს. პონომარიოვა — 12,5, სიმაღლეზე ხტომა — ლ. ილიუშინა — 150 სმ, სიგრძეზე ხტომა — ო. მიხაილოვა — 526 სმ, შუბის ტყორცნა — ლ. ბაკალინა (სამივენი — აფხაზეთი) — 37,35 მ, ბადროს ტყორცნა და ბირთვის კვრა — ტ. ზნახურენკო (აჭარა) — 34,65 მ და 11,11 მ; ჭაბუკები — 200 მ თარჯრბენი — ჯ. დათუნაშვილი — 27,0, 1.500 მ — ლ. ტიტოვი (ქუთაისი) — 4.26,4, ესტაფეტა 4×100 მ— თბილისი — 44,9, სიგრძეზე ხტომა — ა. მომოტოვი (თბილისი) — 628 სმ, სამხტომი — რ. ქოიავა (აფხაზეთი) — 13,94 მ, უროს ტყორცნა — ვ. პიგარი (აჭარა) — 45,32 მ, შუბის ტყორცნა — ი. კოვენკო (აჭარა) — 57,87 მ.

გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. აფხაზეთი — 21.036 ქულა, 2. აჭარა — 20.146, 3. თბილისი — 19.623, 4. ქუთაისი — 11.403.

**ვ. ბუკია.**

# ცეცხლის ხაზზე...

თბილისში, „მონკავშირის" სტენდზე, ორ დღეს მიმდინარეობდა აზერბაიჯანისა და საქართველოს ნაკრებთა შეჯიბრება სასტენდო სროლაში. მასპინძელთა გუნდი შეცვლილი შემადგენლობით გამოვიდა: არ იყვნენ ბ. ანტონოვი და ქ. დარასელია, გუნდს აკლდა ზ. მაჩხანელიც, რომელმაც თავისი ადგილი ახალგაზრდა მსროლელებს დაუთმო, თვითონ კი პირად ტურნირში მონაწილეობდა.

პროგრამაში იყო შეჯიბრება ადგილიდან და მრგვალ სტენდზე სროლაში. ორივე სახეობის კომპლექსში გაიმარჯვა საქართველოს ნაკრებმა — 1.696 ქულა 2.000-დან. სტუმრები გამარჯვებულებს 26 ქულით ჩამორჩნენ.

მასპინძელთა უპირატესობა განსაკუთრებით საგრძნობი იყო ადგილიდან სროლაში: სხვაობამ 41 ქულა შეადგინა. მრგვალ სტენდზე სროლაში წარმატების სასწორი კვლავ ჩვენი გუნდის მხარეს გადაიხარა. ერთადერთი გამარჯვება სტუმრებს ხვდათ წილად ადგილიდან მსროლელთა პირად ტურნირში, სადაც ახალგაზრდა ტ. ანდრონიშკინმა 136 სამიზნის დაზიანებით I ადგილი მოიპოვა. II ადგილზეა ი. საგანელიძე, III — ზ. მაჩხანელი.

კვლავ გვასახელა ახალგაზრდა სპორტის ოსტატმა ტ. ჟღენტმა, რომელმაც მრგვალ სტენდზე სროლაში აჯობა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონს ვ. მამედოვს. III ადგილი დაიკავა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა გ. სეგალევიჩმა.

შეჯიბრება ორგანიზებულად, მაღალ დონეზე ჩატარდა (მთავარი მსაჯი შ. ციხისელი).

**ჯ. მოწონელიძე,**
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

# რკინიგზელთა სტარტები

„ლოკომოტივის" სტადიონზე დამთავრდა ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნობაში. ასპარეზობდა ბათუმის, სოხუმის, ქუთაისისა და სამტრედიის საკვანძე სადგურების ნაკრები გუნდები—48 სპორტსმენი.

100 მეტრზე რბენა ქუთაისელმა გოგონამ ლ. აბზიანიძემ მოიგო — 13,5. იმავე შედეგით II ადგილი მიეკუთვნა ბათუმელ შ. ჟუკოვას. ჭაბუკებში გაიმარჯვა სამტრედიელმა ზ. ერისთავმა — 11,7. II იყო ქუთაისელი ა. ჩუბინიშვილი — 11,8. ი. კარაბელნიკოვი უძლიერესი აღმოჩნდა 400 მეტრზე რბენაში — 54,8. მანვე ყველაზე სწრაფად გაირბინა 800 მ — 2.09,0.

სიგრძეზე ხტომაში პირველნი იყვნენ: ლ. აბზიანიძე (II ადგილზეა სამტრედიელი ნ. ალფაიძე) და ქუთაისელი ე. ფარსადანოვი (II ადგილი დაიკავა ზ. ერისთავმა). სიმაღლეზე ხტომაში გაიმარჯვეს: სოხუმელმა ტ. ორლოვამ (140 სმ) და ა. ჩუბინიშვილმა (165 სმ).

ბადროს ტყორცნაში მოასპარეზე გოგონებში ტოლი არ ჰყავდა სამტრედიელ რ. რომაშენკოს, ხოლო ჭაბუკებში—ბათუმელ რ. კალაძეს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ბათუმის კვანძის წარმომადგენლებმა (6.334 ქულა). მომდევნო ადგილებზე არიან ქუთაისისა (6.098) და სამტრედიის (5.982) მძლეოსნები.

**ჯ. ვაშაკიძე,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.
სამტრედია.

### ✦ ლაგოდეხი

ერთ თვეს გაგრძელდა „კოლმეურნის" რაიონული თასის გათამაშება 10 გუნდის მონაწილეობით. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ჭაბუკიანისა და ცოდნისკარის კოლმეურნეობათა ფეხბურთელები. გაიმარჯვეს ჭაბუკიანელებმა — 4:0.

**ფ. კვირიკაშვილი.**

### ✦ თერჯოლა

ნაზშირღელის კოლმეურნეობის ფეხბურთელთა და ფრენბურთელთა გუნდებმა ამხანაგური მატჩები გამართეს ამავე სოფლის სკოლის კოლექტივებთან. ფეხბურთში გაიმარჯვეს მოსწავლეებმა — 3:2, ხოლო ფრენბურთში — კოლმეურნე სპორტსმენებმა — 2:1.

**ლ. ჯიშიაშვილი.**

### გამოცდები დამთავრდა

... დამთავრდა სპორტული გამოცდები: დაეშვა საშუალო სპეციალური სასწავლებლების II სპარტაკიადის ალამი. ზოგიერთ სახეობაში გამართული ასპარეზობის შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით, ახლა სხვებზე ვისაუბროთ...

### იმარჯვებს მეგობრობა

თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის კალათბურთელი გოგონების დამარცხება ბევრმა გუნდმა სცადა, მაგრამ ამაოდ. ეს სანუკვარი საწადელი კინაღამ აიხდინეს თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის სპორტსმენებმა, მაგრამ მომავალი პოლიტექნიკოსები

# ტექნიკუმელებმა სპარტა[...]

უფრო მეგობრულად თამაშობდნენ და იმარჯვეს კიდეც — 46:30. სპარტაკიადის ჩემპიონებმა მანამდე გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხეს თბილისის პედაგოგიური (53:5), ქუთაისის ავტომექანიკური (51:9) და თბილისის მანქანათმშენებლობის (51:26) ტექნიკუმების გუნდები.

ჩემპიონობა მოიპოვეს პოლიტექნიკური ტექნიკუმის ჭაბუკმა კალათბურთელებმაც. მათ აქტივშია შედარებით იოლი გამარჯვებები: ფოთის ჰიდრო-სამელიორაციო (86:35), ქუთაისის სატყეო (53:27) და თბილისის მსუბუქი მრეწველობის (40:31) ტექნიკუმების სპორტსმენებთან.

### მხოლოდ 3 წამით

ველოსიპედისტთა 25-კილომეტრიანი ჯგუფური რბოლის დისტანციაზე ორი მეგობარი, თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის ორი წარმომადგენელი — თ. ლარიონოვა და ლ. რეზანოვა თავიდანვე მოსწყდნენ ძირითად ჯგუფს და სწრაფად დაწინაურდნენ. მეგობარმა მეტოქეებმა თითქმის მთელი დისტანცია „თვალი-თვალში" გაიარეს, ფინიშზე კი ბრძოლა უფრო გამწვავდა. გაიმარჯვა თ. ლარიონოვამ (47.32,0). ლ. რეზანოვამ მასთან მხოლოდ 3 წამით წააგო. სამაგიეროდ, მან დაყოფილი სტარტით 20-კილომეტრიან დისტანციაზე იმარჯვა, ყველა მეტოქე დაჯაბნა და ფინიშთან პირველი იყო (37.02,0). ლარიონოვამ დისტანცია 1 წუთით გვიან დაამთავრა.

თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის სტუდენტმა ნ. ციკოლიამ პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის კანდიდატის ნორმა დაყოფილი სტარტით 25-კილომეტრიან დისტანციაზე — 36.07,5. ველოსიპედისტთა ასპარეზობაში გუნდური გამარჯვება მომავალ მანქანათმშენებლებს დარჩათ.

### ფრენბურთის ბადესთან

ამ სახეობაში თბილისის მანქანა[...] მშენებლობის ტექნიკუმის გოგონებ[...] და ჭაბუკებს კონკურენტები თითქ[...] არ ჰყავდათ, ძალიან იოლად გაიმარ[...]ვეს და სპარტაკიადის ჩემპიონები გა[...]დნენ.

* * *

ჩვენ ვიტყობინებოდით, რომ ქართუ[...]ლი ჭიდაობა მოიგო თბილისის მანქ[...]ნათმშენებლობის ტექნიკუმის გუნდ[...] დაზუსტების შემდეგ აღმოჩნდა, რ[...] მოჭიდავეთა შორის უძლიერესნი იყვ[...] თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმ[...] ათლეტები.

[illegible]

# პელეს აღსარება

ლონდონი, 28 ივნისი. ასოშიეიტედ პრესის ამერიკული სააგენტოს ცნობით, პელე აპირებს სულ მიატოვოს საყვარელი თამაში. ეს სენსაციური ინტერვიუ სახელგანთქმულმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა მისცა ინგლისის გაზეთ „სანდი ტელეგრაფის" თანამშრომელს დ. მილერს. კითხვაზე, დიდხანს აპირებთ თუ არა ფეხბურთის თამაშსო, 25 წლის პელემ, რომელმაც 10 წლის განმავლობაში 1000-მდე მატჩი ითამაშა, უპასუხა: თუ შევიძელ, კიდევ 2 ან 3 წლიწადს, სანამ 28 წლისა არ გავხდებიო.

„ჩემთვის, — განაგრძობს პელე, — არ არსებობს უფრო ამაღელვებელი მოვლენა, ვიდრე მსოფლიო ჩემპიონატი ინგლისში — ამ ყველაზე პოპულარული თამაშის სამშობლოში, თუმცა მოვიგებთ თუ არა ოქროს ქალღმერთს, არც თუ ისე მნიშვნელოვანია. ჩვენ ხომ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები ვართ!

შესაძლოა, თუ ძალზე საჭირო ვიქენი, გამოვიდე მექსიკის 1970 წლის ჩემპიონატში, მაგრამ არა მგონია, ეს მოხდეს. ახლა სიამოვნებით ვითამაშებდი რომელსამე სამოყვარულო კლუბში. მსურს უფრო მეტი დრო გავატარო ჩემს ოჯახში.

საქმე მატჩებში როდია. ძალიან დიდ დროს მართმევს მოგზაურობა. არც კი მაგონდება ამ ბოლო დროს როდის გავატარე მთელი კვირა მშობლებთან. ჩემი თაფლობის თვე ევროპაში — პირველი შეღავათი იყო. ვისვენებ მხოლოდ მაშინ, როცა დაშავებული ვარ.

მინდა ფეხბურთს თავი დავანებო და მეტი დრო მოვანდომო ჩემს საქმეებს. ხომ უნდა ვეწეოდე რაღაც საქმიანობას?!"

პელეს ეჭვება, რომ იგი მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელია: „პირადად მე ასე არ ვფიქრობ, ვინაიდან ყოველთვის [illegible] ყოველთვის [illegible]. მხოლოდ [illegible] — ყოველ [illegible] თამაშო! არავის წინაშე არ ვარ განსაკუთრებით ვალდებული, გარდა საკუთარი თავისა. ამბობენ ხოლმე, პელე მოიგებს მატჩსო. მაგრამ მე უფრო იმას ვფიქრობ, თუ წავაგებთ, ჩემი ბრალი იქნება-მეთქი. ამიტომ მუდამ მონდომებით ვთამაშობ.

ფეხბურთი ჯერ კიდევ მანიჭებს სიამოვნებას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ წუთებს, როცა ძალზე ვიღლები. მსიამოვნებს თამაში როგორც ჩემს კლუბში, ისე ნაკრებშიც, თუმცა, ჩემი აზრით, კლუბის გარემო უფრო კარგია".

თანამედროვე ფეხბურთზე რომ ჩამოვარდა სიტყვა, პელემ თქვა: ფეხბურთში ახლა მეტისმეტი ყურადღება ექცევა დაცვას, რაც არ შეიძლება მაყურებელს მოსწონდეს. ბევრი გუნდი არც თუ ცუდ შედეგს აღწევს, მაგრამ არა იმიტომ, რომ კარგად თამაშობს, არამედ იმიტომ, რომ წარმატებით იცავს თავს და მეტოქის შეტევებს აქარწყლებსო.

„ა" კლასი II ჯგუფი

სსრ კავშირის პირველობა

# „მცირე" შენიშვნა გავაშელს

თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 28 ივნისი.

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „სპარტაკი" (ნალჩიკი) 1:0 (1:0).

„ლ ო კ ო მ ო ტ ი ვ ი": გრძელიშვილი, იაშვილი, კოპინი, ფრიდმანი, გაგუა, ძაგანია, ისიანი, მაზიაშვილი, კაიშაური, ახალკაცი, გავაშელი.

„ს პ ა რ ტ ა კ ი": ალდიშევი, ლიტვინოვი, გოგიბედაშვილი, ნიკოლაენკო, კრივოშეევი, ბატალინი, ილინი, ეშტრეკოვი, ტკაჩენკო, შაპოვალოვი, ივანოვსკი.

მსაჯი ა. ვასილიევი (ხარკოვი).

ახალგაზრდა ფეხბურთელი გ. გავაშელი გაგრიდან ჩამოვიდა თბილისის „დინამოს" დუბლიორთა გუნდში. წლეულს იგი „ლოკომოტივში" გადავიდა და აქ ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრა ადგილი მარცხენა ფრთაზე. „ა" კლასის II ჯგუფი დიდი სკოლაა ახალგაზრდა მოთამაშისათვის და, უნდა ითქვას, გავაშელი უმთავრესად ამართლებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, ფეხბურთის მოყვარულნი ინტერესით ადევნებენ თვალს მას, მაგრამ...

ეს „მაგრამ" ეხება არა მარტო გავაშელს, არამედ რკინიგზელთა გუნდის სხვა თავდამსხმელებს და ნახევარმცველებსაც. საკმარისია რომელიმე მათგანმა მიიღოს ბურთი და მას უკან ვეღარ ეღირსები: ლოკომოტიველები თითქოს პრინციპულად არ ცნობენ კომბინაციურად, გადაცემებით თამაშს და ბურთის ტარება თვითმიზნად აქვთ გადაქცეული. არ ჭრის არც მწვრთნელთა მითითებები, არც საგაზეთო რეცენზიები, დაბოლოს, არც მაყურებელთა უკმაყოფილება. გავაშელი, მაზიაშვილი, ახალკაცი, ძაგანია ყოველგვარ სიტუაციაში, საჭიროა ეს თუ არა, ამჯობინებენ ერთით მეტი მეტოქე მოატყუონ, ვიდრე რაციონალურად გაითამაშონ კომბინაცია. ამავე სტილით დაიწყო თამაში კაიშაურმაც, თუმცა ეს აგრესიული, მუდამ გოლის გასატანად დამუხტული ცენტრფორვარდი ნაკლებად უნდა კარგავდეს დროს ბურთის უმიზნო ტარებაზე.

ყოველივე ამას ვამბობთ იმიტომ, რომ თბილისის „ლოკომოტივმა" ბოლო ხანებში საგრძნობლად გააუმჯობესა თამაში, დამაჯერებლად მიიწევს წინ — ლიდერებისკენ და ამ კარგ კოლექტივს ზემოაღნიშნული ნაკლი საგრძნობლად ამუხრუჭებს. სწორედ ამიტომ იყო, რომ თბილისელებს გუშინ გაუჭირდათ მატჩის მოგება, თუმცა საერთო უპირატესობა აშკარად მათი გახლდათ. ამიტომ იყო, რომ ისინი დასჯერდნენ გავაშელის მიერ პირველ ტაიმში გატანილ ერთადერთ გოლს.

რ. ქორიძე.

ფეხბურთი

# გუშინ...

კიროვაბადში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი და ბათუმის „დინამოს" ფეხბურთელები.

გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:1.

# კვლავ კურაიცა!

ბ ა თ უ მ ი, 28 ივნისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს გაიმართა მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის VI ტური. ლიდერმა კურაიცამ (იუგოსლავია) მძაფრ ბრძოლაში დაამარცხა თანამემამულე ველიმიროვიჩი.

მწვავე ბრძოლა გააჩაღეს ჯინჯიხაშვილმა და გურგენიძემ, მაგრამ მათი პარტია ყაიმით დამთავრდა.

ასეთივე შედეგით აღინიშნა გიორგაძე — მინიჩის (იუგოსლავია), ბუსლაევ — კოლაროვის (ბულგარეთი), ბაგიროვ (აზერბაიჯანი) — პოპოვის (ბულგარეთი) პარტიები.

იანსამ (ჩეხოსლოვაკია) მოუგო ფელდს (უნგრეთი), ცინმა (გდრ) — დოდას (პოლონეთი) და უიტელკიმ (ჩეხოსლოვაკია) — უბილავას.

6 ტურის შემდეგ კვლავ ლიდერობს კურაიცა — 6 ქულა. შემდეგ მოდიან: გურგენიძე (5), ბაგიროვი (4,5), ჯინჯიხაშვილი, ბუსლაევი და იანსა (4-4).

VII ტურში საერთო ინტერესს იწვევს გურგენიძე — კურაიცას პარტია.

ბათუმის საერთაშორისო ტურნირის კულისებში

იუმორი

კიდევ კარგი!

ტურნირის სტარტზე ჩეხოსლოვაკიელი ოსტატი მ. უიტელკი ზედიზედ სამ ქართველ მოჭადრაკეს — თ. გიორგაძეს, რ. ჯინჯიხაშვილსა და ბ. გურგენიძეს შეხვდა და სამივე პარტია წააგო. როცა ბოლოს გურგენიძეს დანებდა, შეწუხებულმა ერთ-ერთ მსაჯს კითხა:

— მითხარით, გეთაყვა, საქართველოდან კიდევ რამდენი მოჭადრაკე თამაშობს?

— ორი.

— კიდევ კარგი!

თ. გიორგაძე.

# ახალი ამბები

● ტალინი, 26 ივნისი. აქ დამთავრდა აფროსანთა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება — ბალტიის XVIII რეგატა. 5 კლასის იახტებით შეჯიბრებაში, ოთხში პირველობა საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს. სტუმართაგან ყველაზე უკეთ გამოვიდნენ გდრ-ის წარმომადგენლები (1 პირველი ადგილი). მათ გარდა ასპარეზობდნენ ბულგარეთის, უნგრეთისა და ფინეთის აფროსნები.

● მ ო ს კ ო ვ ი, 26 ივნისი. საბჭოთა ახალგაზრდობის დღე ველოსიპედისტთა საინტერესო ასპარეზობით აღინიშნა. სამამულო საველოსიპედო სპორტის ისტორიაში პირველად გაიმართა რბოლა კრემლის გარშემო, რომელშიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის საუკეთესო ახალგაზრდა მრბოლელები. გაიმარჯვა 24 წლის ე. მელკოვმა (ბაქო), რომელმაც 56 კმ დაფარა 1 საათში, 12 წუთსა და 22 წამში. მან დაიმსახურა გაზეთ „მოსკოვსკი კომსომოლეცის" პრიზი. ასეთივე შედეგით II ადგილზეა გამარჯვებულის თანაქალაქელი ა. მოროზოვი. III ადგილი დაიკავა 22 წლის გ. ზადოხინმა (მოსკოვი), რომელიც ბაქოელებს 7 წამით ჩამორჩა. ლენინის გორაკებზე გაიმართა იუნიორთა შეჯიბრება. ისინი ერთმანეთს ეცილებოდნენ ველოსპორტში პირველი საბჭოთა ოლიმპიური ჩემპიონის ვ. კაპიტონოვის სახელობის პრიზს. იგი მოიგო 19 წლის მოსკოველმა ი. იანინმა.

● ს ო ჭ ი, 28 ივნისი. ჩიგორინის ხსოვნისადმი მიძღვნილ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში დღეს გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება. ლეინმა დაამარცხა კუბის ჩემპიონი ორტეგა. თამაშის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ პოლუგაევსკი და სპასკი. 5 ტურის შემდეგ შეჯიბრების ლიდერია რუსეთის ფედერაციის ჩემპიონი, ოსტატი სერგიევსკი, რომელსაც 3,5 ქულა აქვს. 3-3 ქულითა და თითო გადადებული პარტიით მას კვალში მიჰყვებიან კორჩნოი და იუგოსლაველი მატულოვიჩი.

● ბუდაპეშტი, 28 ივნისი. უნგრეთის დედაქალაქში მიმდინარეობს მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობს 6 ქვეყნის 14 სპორტსმენი, მათ შორის, სსრ კავშირის ჩემპიონი ვ. კოზლოვსკაია. I ტურში იგი შეხვდა იუგოსლაველ კ. იოვანოვიჩს, ხოლო მეორეში — რუმინელ პოლიქრონიადეს. ორივე პარტია გადაიდო.

# ენთუზიასტი

ქართველი პედაგოგი და სპორტის ოსტატი კუბაში

◆

საკავშირო საზოგადოება „ცოდნის" სპეციალიზებულმა ტურისტულმა ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში საქართველოს 2 წარმომადგენელიც იყო, კუბაში იმოგზაურა და თავისუფლების კუნძულის ცხოვრებას გაეცნო. სოციალიზმის მშენებლობის საქმეში კუბელებს დიდ დახმარებას უწევენ სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების სპეციალისტები, მათ შორის, ქართველებიც. ერთ-ერთ მათგანს, — პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს, სპორტის ოსტატ ვალერიან ვაშაკიძეს სამუშაო ადგილზე შევხვდით.

ვ. ვაშაკიძე რომ თავისუფლების კუნძულზე იყო, ჰავანაში გავიგეთ. ქალაქს როცა ვეცნობოდით, ჩვენთან ერთი სიმპათიური ახალგაზრდა მოვიდა და იკითხა, საქართველოდან ხომ არ ხართ ვინმეო? იგი კუბის ფიზიკური კულტურისა და აღზრდის უმაღლესი სკოლის მძლეოსნობის კათედრის ხელმძღვანელი ხუან ბესტუელი აღმოჩნდა.

— ვალერიან ვაშაკიძე, — გვითხრა ხუანმა, — უკვე მეორე წელია ჩვენთან მუშაობს და ამ პერიოდში სტუდენტებსა და პედაგოგებში ავტორიტეტი მოიპოვა. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა მძლეოსნობის კათედრა და წარმატებით ისწავლება მძლეოსნობა, როგორც სპეციალური საგანი. ვაშაკიძემ მოაწყო მძლეოსნობის მეთოდური კაბინეტი, სადაც მის მიერვე დამზადებული კინოგრამები, ნახაზები და სხვა მეთოდური მასალებია წარმოდგენილი. მან მოამზადა შესაბამისი სასწავლო გეგმები, რაც კუბის განათლების სამინისტრომ მოიწონა.

ვ. ვაშაკიძე წარმატებით ატარებს თეორიულ და პრაქტიკულ გაკვეთილებს, დიდ ენერგიას ახმარს სტუდენტთა წვრთნას, მსაჯების, მწვრთნელების, ფიზორგებისა და სხვა სპეციალისტების დაოსტატებას. მისი ხელმძღვანელობით უკვე მომზადდა ინსტიტუტის 8 სტაჟიორი, 126 მწვრთნელი, საშუალო სკოლის ფიზიკური აღზრდის 10 მასწავლებელი, გადამზადდა 1300-მდე მასწავლებელი და სხვ.

ქართველი სპეციალისტის ნამეცადინევმა სპორტსმენებმა 4 რესპუბლიკური რეკორდი დაამყარეს. მან ცენტრალური ამერიკისა და კარიბის თამაშებისათვის მოამზადა კუბის მძლეოსანთა ეროვნული ნაკრები. ვაშაკიძემ კუბაში პირველად შექმნა სპორტულ სიარულში მომეცადინეთა ჯგუფი. იგი არაერთხელ იყო რესპუბლიკური შეჯიბრებების მსაჯიც.

ი. თოდუა,

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი.

შ. ნოზაძე,

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის რეფერენტი.

ჰავანა—თბილისი.

* * *

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ზევით — ვ. ვაშაკიძე (მარჯვნიდან მეორე) კროსში მსაჯობის დროს; ქვევით — ქართველი სპეციალისტი სიგრძეზე ხტომის ილეთს აჩვენებს ახალგაზრდა კუბელ მძლეოსნებს.





# სპარტაკიადის ალაში დაუფიქრებს

საერთო გუნდურ ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის სპორტსმენები, რომლებმაც პირველობა არავის დაუთმეს სპორტის ხუთ სახეობაში: მძლეოსნობაში, ცურვაში, ტანვარჯიშში, ველოსპორტში, ფრენბურთში. II საპრიზო ადგილზე გავიდნენ თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის წარმომადგენლები (მათ I ადგილები დაიკავეს კალათბურთსა და ქართულ ჭიდაობაში). III ადგილზეა თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის გუნდი.

ქუთაისის სამთო ტექნიკუმის გუნდმა I ადგილი მოიპოვა ძალოსნობაში.

## ჩრდილები...

დავიწყოთ „სპორტის დედოფლით". შეჯიბრების ორგანიზატორებს რბენის 800-მეტრიან დისტანციაზე ერთდროულად რომ მიეცათ სტარტი ზ. კობერიძისა (რუსთავის ქიმიურ-მეტალურგიული ტექნიკუმი) და ვ. ტიხომიროვასათვის (თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმი), გოგონა გაიმარჯვებდა. ვ. ტიხომიროვამ დისტანციის გარბენას 2.53,6 მოანდომა, რუსთაველმა ჭაბუკმა კი — 2.56,0 (?!).

საოცრად დაბალი შედეგი ჰქონდა კობერიძის თანაგუნდელ ბადროსმტყორცნელ გოგონას ლ. სოკირკოს... 14,73 მ. საგარეჯოს ჰიდრო-სამელიორაციო ტექნიკუმის წარმომადგენელმა ნ. ჩომახაშვილმა კი 400 მეტრზე ჭაბუკთა გარბენში მხოლოდ 1.09,8 აჩვენა. ამგვარი მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანდა.

შეიძლება შემოგვედაონ, ეს ასპარეზობა რამდენიმე კარგი შედეგითაც აღინიშნაო. სწორია, მაგრამ საკითხს ერთი შეჯიბრება და რამდენიმე შედეგი როდი წყვეტს. თავი და თავი ის გახლავთ, რომ ტექნიკუმების უმეტესობაში „სპორტის დედოფალი" ბედგამწყრალი გერის მდგომარეობაშია.

მოცურავეებს შეჯიბრების გრაფიკით გათვალისწინებული ორი დღე არ დასჭირვებიათ საასპარეზოდ, იმიტომ, რომ სტარტზე სულ 50-მდე მონაწილე გამოვიდა, მათ შორის, მხოლოდ 2 გოგონა.

ძალოსანთა სრული გუნდები მხოლოდ ქუთაისის სამთო, თბილისის მანქანათმშენებლობის, პოლიტექნიკურმა და საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმებმა გამოიყვანეს.

გვინდა ყურადღება განსაკუთრებით გავამახვილოთ ერთ სამწუხარო ფაქტზე. თბილისის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის ფიზაღზრდის მასწავლებელმა ი. ლოლაძემ სცადა სხვა ორგანიზაციების სპორტსმენებით გაევსო ფონი. მაგალითად, ქართულ ჭიდაობაში საასპარეზოდ მან 7 ათლეტი გაატარა სამანდატო კომისიაში. ხალიჩაზე მათგან მხოლოდ 2 გამოცხადდა, დანარჩენები — „სხვისი" ათლეტები, უბრალოდ, შეშინდნენ. ი. ლოლაძემ ეს როდი იკმარა. მან კალათბურთელთა ასპარეზობაშიც უცხოები გამოიყვანა. მაგრამ მსაჯები მიუხვდნენ მაქინაციას და საბოლოოდ გუნდი შეჯიბრებიდან მოხსნეს. ამ უმსგავსო საქციელზე სპარტაკიადის ორგანიზატორები უახლოეს დღეებში იმსჯელებენ და თვალთმაქც „აღმზრდელს", ალბათ, სათანადოს მიუზღავენ.

„ლელოს" ბრიგადა.

# მონაწილის თვალით

როგორც ცნობილია, ამას წინათ ტოლიდოში დამთავრდა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო პირველობა, რომელშიც ჩვენი რესპუბლიკის 4 ათლეტი გამოდიოდა. გუშინ რედაქციას ესტუმრა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ტოლიდოს ტურნირის ვერცხლის პრიზიორი გ უ რ ა მ ს ა ღ ა რ ა ძ ე. ვბეჭდავთ მასთან საუბარს.

● **როგორ აფასებთ ტოლიდოს ჩემპიონატის შედეგებს?**

— შარშანდელთან შედარებით ჩვენი ნაკრები უდავოდ უკეთესად გამოვიდა. მანჩესტერში იგი III ადგილზე იყო, ტოლიდოში კი II დაიკავა; შარშან მხოლოდ 2 მსოფლიო ჩემპიონი გვყავდა, წლეულს კი — 3.

● **გუნდური პირველობის მოგება შეგეძლოთ?**

— შეგვეძლო. საქმე ის არის, რომ ტოლიდოში ჩვენმა ბიჭებმა მთელი თავიანთი უნარი ვერ გამოავლინეს. თურქეთის, რომელმაც სატურნირო ცხრილის პირველი სტრიქონი დაიკავა და 6 ქულით გაგვისწრო, მხოლოდ 1 ჩემპიონი ჰყავს. თურქების გამარჯვება უმთავრესად გუნდის ყველა წევრის თანაბარმა წარმატებამ განაპირობა. მათ არც ერთ წონაში არ ჰქონდათ ჩავარდნა, ჩვენ კი — რამდენიმეში.

● **რომელი მათგანი მიგაჩნიათ ყველაზე მოულოდნელად?**

— ჩემპიონატის მთავარი სენსაცია ზ. ბერიაშვილის მარცხი გახლდათ. ეს თუნდაც იმიტომ, რომ ზარიბეგი შეჯიბრების დაწყებამდე საბჭოთა და უცხოელ სპეციალისტებს გამარჯვების მთავარ ფავორიტად მიაჩნდათ. ასეც იყო. მაგრამ მოხდა ყველასთვის მოულოდნელი და გაუგებარი რამ. დღესაც არ მესმის, რა მოუვიდა ტოლიდოში ზარიბეგს. II წრეში მან წააგო ბულგარელ ვილჩევთან, რომელსაც მშვენივრად იცნობს და, რაც მთავარია, მუდამ უგებს. ვილჩევი, ცხადია, მაღალი კლასის მოჭიდავეა: იყო მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, საერთაშორისო ტურნირებში მრავალგზის გამარჯვებული. ტოლიდოში ვილჩევმა პირველივე ბრძოლა წააგო, რამაც მას ერთგვარად „მოუხსნა" პასუხისმგებლობის გრძნობა. ზარიბეგთან ჭიდილში იგი, ფაქტიურად, არაფერს კარგავდა, ვინაიდან იცოდა, რომ პირველობას მაინც ვერ აიღებდა. ამიტომაც ბულგარელი ხალიჩაზე მეტისმეტად თავისუფლად მოქმედებდა, ბერიაშვილს კი ძნელად თუ იცნობდით. დამარცხებამ მას საბოლოოდ გაუფუჭა გუნება და მაინც, ჩემი აზრით, მან ამერიკელ ჰოლზერს მოუგო, მსაჯებმა კი ქართველი ათლეტი დამარცხებულად ცნეს. არბიტრმა ზარიბეგს რამდენიმე ქულა არ ჩაუთვალა, ამერიკელის ერთადერთი ილეთი კი უმალ ერთ ქულად შეფასდა.

● **რას იტყვით საბჭოთა ნაკრების დებიუტანტ ტარიელ ალიბეგაშვილზე?**

— ტარიელმა ტოლიდოში ნამდვილად ივაჟკაცა, მიუხედავად იმისა, რომ სტარტზევე დაკარგა 5 ქულა. განსაკუთრებით საწყენი იყო მისი ფრე ამერიკელ სანდერსთან. ალიბეგაშვილი იმარჯვებდა, მაგრამ ბოლო წუთზე... საათს შეხედა, რითაც ისარგებლა ამერიკელმა, ტარიელს ფეხებში შეუვარდა და ანგარიშიც გაათანაბრა. სხვათა შორის, ჩემპიონატის შემდეგ ჩვენმა მწვრთნელებმა განსაკუთრებით აღნიშნეს ალიბეგაშვილის მაღალი ოსტატობა, — ისინი კმაყოფილი იყვნენ დებიუტანტის გამოსვლით.

● **როგორ ფიქრობთ, ითამაშა თუ არა ანდრო ცხოვრებოვის წარუმატებლობაში ერთგვარი როლი უილბლო წილისყრამ?**

— გაცილებით მეტი, ვინემ თქვენ გგონიათ. ცხოვრებოვი, ფაქტიურად, საშუალო წონის ყველა ფავორიტს დაეჭიდა: თურქი გიუნგიორი, ირანელი მეხტი-ზადე, უნგრელი ჰოლოში ექსტრაკლასის ათლეტები არიან ამ „საცერის" გავლა მას ფინალში გაუსვლელობის ფასად დაუჯდა. ისე კი, კაცმა რომ თქვას, ცხოვრებოვს ბულგარელ გარჯევთან ერთად „ოქროსთვის" უნდა ებრძოლა.

● **თქვენ როგორღა იჭიდავეთ?**

— გადამწყვეტი შეხვედრა თურქ ათალაისთან წავაგე. ამ ბრძოლის წინ მე 3 საჯარიმო ქულა მქონდა, თურქს — 2, ამიტომაც მხოლოდდამხოლოდ მოგება მაძლევდა ხელს. მე-4 წუთზე თურქმა ილეთზე „დამიჭირა", 2 ქულა ამართვა და შემდეგ ახლოსაც არ გამკარებია. ამ ჩემპიონატში ათალაის ბედმა გაუღიმა. იგი არ შეხვედრია არც III პრიზიორს — ირანელ ტეხამის და არც IV ადგილზე გასულ ამერიკელ კაუფმანს. იგი ხალიჩაზე სულ ოთხჯერ იყო.

● **რას გვეტყვით საბჭოთა ნაკრების სხვა წევრებზე?**

— საერთო ყურადღების ცენტრში იყო მედვედისა და თურქი აიკის შეხვედრა. როგორც ცნობილია, ბრძოლა ფრედ დამთავრდა, მაგრამ მედვედს ეს დიდ ჯაფად დაუჯდა. არა მგონია, რომ იგი სხვა დროსაც ასე იღბლიანად დააღწევს თავს აიკის მარწუხებს. რაც შეეხება ივანიცკის, იგი ჯერჯერობით უძლიერესია თავის წონაში. ჩემი აზრით, მას უახლოეს მომავალში მეტოქეობას მხოლოდ ამერიკელი კრისტოფი გაუწევს, რომელმაც ტოლიდოში მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრა ფრედ დაასრულა.




## აი, ესენი ითამაშებენ ინგლისში

●

## ჯ. გრივსი

ინგლისურ ფეხბურთში დიდი პოპულარობით სარგებლობს თავდამსხმელი ჯიმი გრივსი. სპორტული ჟურნალისტები აღიარებენ, რომ გრივსი არის ყველაზე უფრო ეფექტური და შედეგიანი ფორვარდი, რომელსაც არა მარტო ბევრი გოლი გააქვს, არამედ უდიდესი ხელოვნებით და სილამაზით ასრულებს ამ „ოპერაციას".

სპეციალისტთა ყურადღება გრივსმა 1958 წელს, 17 წლის ასაკში მიიპყრო, როცა ბრწყინვალედ ითამაშა ლონდონის „ჩელსის" შემადგენლობაში „ტოტენჰემ ჰოტსპურის" წინააღმდეგ. 3 წლის შემდეგ გრივსი იტალიის „მილანში" აღმოჩნდა, მაგრამ ინგლისელმა თავდამსხმელმა სამხრეთში ფეხი ვერ მოიკიდა. ჯ. გრივსი დაუბრუნდა სამშობლოს და „ტოტენჰემ ჰოტსპურში" ჩაირიცხა. 3 წელი ზედიზედ იგი თავისი ქვეყნის საუკეთესო სნაიპერი იყო.

ჯ. გრივსი ერთი შეხედვით მომცრო ტანისაა (170 სმ) და მინდორზე თავს მაინცდამაინც არ იწუხებს, მაგრამ საკმარისია მეტოქის კართან სახიფათო მომენტი შეიქმნას, რომ იგი იდეალურ პოზიციაში გადის და გააქვს გოლები.

ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ა. რამსეი არ აპირებდა გრივსის ჩარიცხვას თავის გუნდში, მაგრამ დარწმუნდა, რომ ფორვარდი ახლა საუკეთესო ფორმაშია! ფაქტი ხომ ჯიუტია: ჯიმს გოლი გოლზე გაჰქონდა. საყურადღებოა ისიც, რომ ჯ. გრივსს საჭიროების შემთხვევაში შეუძლია მეკარის შეცვლა.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ჯ. გრივსი (მარცხნივ) ურტყამს კარში.

## მსოფლიო ჩემპიონატამდე



# მძლეოსნურ მერიდიანებზე

**სიენა** (იტალია), **27 ივნისი.** მძლეოსანთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს საბჭოთა სპორტსმენებმა. ა. ბალტოვსკიმ ყველას აჯობა უროს ტყორცნაში (65,26 მ), ა. მოროზმა — სიმაღლეზე ხტომაში (206 სმ), ა. ნურმეკივიმ — 10 კილომეტრზე რბენაში (29.51,0). სხვა შედეგებიდან აღსანიშნავია რუმინელი შ. ჩოკინის მაჩვენებელი სამხტომში (16,24 მ), იტალიელი ს. ოტოლინასი — 200 მეტრზე რბენაში (21 წამი) და ახალგაზრდა ვ. ქერომსის ბელგიის რეკორდი 400 მეტრზე თარჯრბენში — 50,8 წამი.

**ნიუ-იორკი.** 27 ივნისი. **უაღრესად მწვავე ბრძოლითა და მაღალი შედეგებით აღინიშნა ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსანთა ჩემპიონატი, რომელმაც გამოავლინა სსრ კავშირთან ტრადიციული მატჩის (გაიმართება ლოს-ანჟელოსში 23-24 ივლისს) მონაწილენი. სპრინტერთა ოჯახს ახალი შესანიშნავი ათლეტი შეემატა — კალიფორნიელი ზანვი მორბენალი, 18 წლის ლი ევანსი (სიმაღლე 180 სმ, წონა 65 კგ). მან გაიმარჯვა 440 იარდზე რბენაში — 45,9. 6 მილზე რბენაში ოლიმპიური ჩემპიონი ბ მილსი დამარცხდა ტ. სმითთან. გამარჯვებულის დროა 28.02,0, ხოლო მილსისა — 28.34,2. ნაკრებში ორივე შევიდა. 120 იარდზე თარჯრბენში პირველი იყო ვ. დავენპორტი — 13,3, ხოლო 440 იარდზე თარჯრბენში — ჯ. მილერი — 50,1. ბადროს მტყორცნელთა შეჯიბრებაში ყველას აჯობა სამი ოლიმპიადის ჩემპიონმა ე. ორტერმა — 59,06 მ, ხოლო ბირთვის კვრაში — მსოფლიო რეკორდსმენმა რ. მეტსონმა — 19,56 მ, რომელმაც მხოლოდ 4 სანტიმეტრით გადაამეტა ნ. სტაინჰაუზერის შედეგს. შეერთებული შტატების რეკორდსმენმა ჰ. კონოლიმ წააგო ე. ბურკთან. გამარჯვებულმა ურო ტყორცნა 67,06 მეტრზე, ხოლო კონოლიმ — 66,75 მეტრზე. შუბის ტყორცნაში საუკეთესო იყო აშშ-ის ახალი რეკორდსმენი ჯ. ტუსჰაუზი — 79,45 მ. 8 მეტრზე გადახტნენ რ. ბოსტონი და ჩ. მეისი (გამარჯვება მიენიჭა ბოსტონს). სიმაღლეზე ხტომაში გაიმარჯვა ო. ბარელმა — 218 სმ ჯ. ჰარტფილდმა და ს. ოლბრაიტმა 216 სანტიმეტრზე გადებული თამასა დაძლიეს. ჭოკით ხტომაში ტოლი არ ჰყავდა მსოფლიო რეკორდსმენს ბ. სიგრენს — 518 სმ.**

**ჰელსინკი**, 28 ივნისი. მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში ი. კინუნენმა შუბი 82,16 მეტრზე ტყორცნა.

**სოფია**, 28 ივნისი. **ბულგარეთის ახალი რეკორდი დაამყარა დიანა იორგოვამ: სიგრძეზე ხტომაში მან შესანიშნავი შედეგი აჩვენა — 647 სმ.**

**ვარშავა, 28 ივნისი.** პოლონეთის მძლეოსანთა ჩემპიონატში კვლავ ისახელა თავი შესანიშნავმა სპორტსმენმა ირენა კირშენშტეინმა. წვიმიანი ამინდის მიუხედავად, მან ძალიან მაღალ შედეგებს მიაღწია: 100 მ გაირბინა 11,2 წამში (0,1 წამით ჩამოუვარდება მსოფლიო რეკორდს), ხოლო 200 მ — 23,7 წამში. სამხტომში გაიმარჯვა ი. იასკულსკიმ — 16,49 მ.

**რედაქტორი მ. ქაქაბაძე.**

# ემზადებიან...

◆ ს ტ ო კ ჰ ო ლ მ ი, 28 ივნისი. მსოფლიოს ჩემპიონებმა — ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა ამხანაგური მატჩი გამართეს შვეციაში ატვიდაბერგის გუნდთან. პატარა ქალაქის მოსახლეობის ნახევარზე მეტი მოვიდა სტადიონზე, რათა ენახა ასეთი იშვიათი საფეხბურთო სპექტაკლი. ბრაზილიელებმა მოიგეს — 8:2, თუმცა პირველ ტაიმში ანგარიში არც ისე დიდი იყო — 1:1.

პირველი გოლი მე-4 წუთზე გაიტანეს მასპინძლებმა.

მაყურებლებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა 16 წლის თავდამსხმელის ედუს შესანიშნავმა თამაშმა. მას ბრაზილიის ნაკრების ახალ „ვარსკვლავს" ეძახიან. მათგან, ვინც ამას წინათ გლაზგოში შოტლანდიის ნაკრებთან ითამაშა, ამჯერად სტუმრების გუნდში მხოლოდ ორი ფეხბურთელი გამოდიოდა.

აი, როგორ გამოიყურებოდა მსოფლიო ჩემპიონთა გუნდი: ვალდირი (მანგა), ჟ. სანტოსი, ბრიტო, ალტაირი (ფონტანა), რილდო, დინო, ლიმა, გარინჩა, ტოსტაო, სილვა, პარანა (ედუ).

# დიდ სენსაციად მიაჩნიათ

**ჩოგბურთი**

**ლონდონი,** 28 ივნისი. სპორტული მიმომხილველების აზრით, ავსტრალიელი ჩოგბურთელი, 22 წლის ო. დევიდსონი უიმბლდონის ტურნირის 89-წლიან ისტორიაში გახდა ყველაზე დიდი სენსაციის ავტორი. მეოთხედფინალში მან დაამარცხა უიმბლდონის შეჯიბრებათა ორგზის ჩემპიონი, თავისი თანამემამულე რ. ემერსონი, სწორედ ის სპორტსმენი, რომელიც მსოფლიოს „პირველ ჩოგნად" მიაჩნიათ. ამ შეხვედრის შედეგია 1:6, 6:3, 6:4, 6:4. ჩემპიონმა პირველი პარტია მოიგო 15 წუთში, მაგრამ შემდეგ მას სველ ბალახზე ფეხი დაუცურდა, დაიზიანა მხარი და მთელი ძალით ველარ განაგრძო ბრძოლა.

პირველი შეხვედრა გამართეს შერეულ წყვილთა თანრიგში გ. ბაკშეევამ და ს. ლიხაჩოვმა. მათ დაამარცხეს ინგლისელი ცოლ-ქმარი ბ. და ჯ. ნაიტები — 6:4, 2:6, 6:3.

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

**ტანვარჯიში.** ტანვარჯიშული დარბაზი (პეტრიაშვილის ქ. №7). **29 ივნისი-2 ივლისი. ამიერკავკასიის მოსწავლეთა პირად-გუნდური პირველობა.** დასაწყისი 17 ს.

**ცხენოსნობა.** იპოდრომი. **29-30 ივნისი. სოფლის სპორტსმენთა რესპუბლიკური პირად-გუნდური პირველობა.** დასაწყისი 16 ს.

**ხელბურთი.** კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონი (ლენინის ქ. № 42). **29 ივნისი-4 ივლისი. საქართველოს პირველობა „ა" კლასის ქალთა და ვაჟთა გუნდებს შორის.** დასაწყისი 10 ს. და 17 ს.

**ბადმინტონი.** უნივერსიტეტის სპორტული დარბაზი (ი. ჭავჭავაძის პრ. № 1). **29-30 ივნისი. თბილისის პირადი პირველობა.** დასაწყისი 17 ს.

ИНДЕКС 66148 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 9 უე 01635